საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-380

ქ. თბილისი

04/05/2020

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ საჩხერისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში, სოფ. ლიჩიდან თბილისი-სენაკი-ლესელიძე E-60 ცენტრალურ მაგისტრალამდე საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის და მშენებლობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ საჩხერისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში, სოფ. ლიჩიდან თბილისი-სენაკი-ლესელიძე E-60 ცენტრალურ მაგისტრალამდე საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის და მშენებლობის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N34 (30.04.2020);
2. სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N34 (30.04.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჩხერისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი